საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობა – – სასარგებლოა თუ საზიანო

თამაზ კუნჭულია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია,
თბილისი, საქართველო
E-mail: t.kunchulia@gaas.dsl.ge

ანოტაცია. საქართველოს ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნება საყოველთაოდაა ცნობილი. მის ტერიტორიაზე გამოყოფილი სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა, 3 ქვეზონით ამის მკაფიო დადასტურებაა. ჩვენს მცირე ტერიტორიაზე ამდენი ზონის არსებობა მიუთითებს მრავალფეროვნებასა და მრავალდარგიანობაზე, რაც თავის მხრივ ქვეყნის სოფლის მეურნეობის შესაძლებლობების ობიექტური მაჩვენებელიცაა.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, მრავალფეროვნება, მრავალდარგიანობა, საწარმოო სპეციალიზაცია, წარმოების საშუალებები.

საქართველოს აგროსასურსათო სექტორში შეუძლებელია ერთი ან თუნდაც ორი-სამი დასახელების პროდუქციის იმ რაოდენობით წარმოება, რომ მისი რეალიზაციიდან შემოსული თანხებით შესაძლებელი იყოს მთლიანად სექტორის შენარჩუნება.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქვეყანას შესაძლებლობა არა აქვს ორიენტირი მრავალდარგიანობაზე აიღოს.

კორონავირუსის პანდემიამ, რომელიც მსოფლიოში უმწვავესი ფორმით მიმდინარეობს, განაპირობა სახელმწიფოების მიერ წარმოების განვითარების, მათ შორის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სტრატეგიების გადახედვა. ჩვენი ქვეყანა იძულებულია გამოსავალი საწარმოო სპეციალიზაციის ზონების შიგნით შეზღუდული რაოდენობის პროდუქციის წარმოებაში ეძებოს.ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს სხვა დარგების შევიწროებას.

სახელმწიფოს მიერ შერჩეული დარგისადმი დახმარება (პროდუქციის წარმოების სუბსიდირება ან სტიმულირების სხვა რაიმე ფორმა) შექმნის დარგის მომგებიანად გაძღოლის წინაპირობას.

შესავალი და თემის დასაბუთება. საქართველო სხვა ქვეყნებისაგან გამორჩეულია კლიმატური პირობების მრავალფეროვნებით – დაწყებული სუბტროპიკულიდან – დამთავ-რებული მუდმივი გამყინვარების თუ უდაბნოს კლიმატით. ჩვენს პირობებში საუკეთესოდ ხარობს ტროპიკებიდან ინტროდუცირებული მცენარეები და ცხოველები. რაც შეეხება ნიადაგებს, წარმოდგენილია მათი 48 ტიპი, რის გამოც საქართველოს ნიადაგების მუზეუმსაც კი უწოდებენ.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და პრაქტიკოსებისაგან შემდგარმა ჯგუფმა ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყო სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა, 3 ქვეზონით,თითოეული მათგანისათვის დამახა-სიათებელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების თავისებურებების გათვალისწინებით.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე ამდენი ზონის გამოყოფა უპირველეს ყოვლისა კლიმატური და ნიადაგური, მზის ნათების ხანგრძლივობის, ნალექების წლიური რაოდენობის განსხვავებულობაზე მიუთითებს.

საქართველოში არსებული მრავალდარგიანობის შესახებ თქმულებაც კი არსებობს. კერძოდ, თქმულება იმის შესახებ, რომ ღმერთი, როცა დედამიწაზე ანაწილებდა სად რა პროდუქცია უნდა ეწარმოებინათ, საქართველოს ჯერი რომ დადგა,კალთაში ყველაფერი განაწილებული აღმოჩნდა და იძულებული შეიქნა კალთა საქართველოზე ჩამოებერტყა. ამიტომაა რომ ამ, ღვთისაგან დალოცვილ ქვეყანაში, ყველაფერი მოდის, თუმცა მცირე რაოდენობით და ხარისხიანი.

ბოლო 30 წელია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, გამოვიდა სსრკ-ის დახურული ბაზრის სივრციდან და მსოფლიო ბაზრის სუბიექტი გახდა,მაგრამ ,დღესაც თავი ვერ დააღწია ეკონომიკურ კრიზისს,რომლის მიზეზიც, მრავალი მკვლევარის მიერ არის აღწერილი, თუმცა არცერთ მათგანს არ გაუმახვილებია ყურადღება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელ მრავალდარგიანობაზე და თუ მას ვინმე მოიხსენიებდა - მხოლოდ დადებით კონტექსტში.

განვითარების მოცემულ ეტაპზე, რომელზედაც ჩვენ ვიმყოფებით, მრავალდარგიანობა მისაღებად უნდა მივიჩნიოთ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. რაც შეეხება ქვეყნის ტერიტო-რიაზე გამოყოფილ საწარმოო სპეციალიზაციის ზონებს, აქ, ჩვენი აზრით, მრავალდარ-გიანობა უნდა შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური თუ ორგანიზაციული სახის ღონისძიებების გატარებით.

როგორც მივუთითეთ, საქართველოს აგროსასურსათო სექტორში შეუძლებელია ერთი ან თუნდაც ორი- სამი დასახელების პროდუქციის იმ რაოდენობით წარმოება, რომ მისი რეალიზაციიდან შემოსული თანხებით შესაძლებელი იყოს მთლიანად აგროსასურსათო სექტორის შენარჩუნება.

ზემოთ თქმული სრულიადაც არ ნიშნავს რომელიმე ზონაში სახელმწიფოს მიერ წახალისებული პროდუქციის გარდა სხვა პროდუქციის წარმოების შეზღუდვას,მაგრამ, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მოცემულ ზონაში რომელი სახის პროდუქციის წარმოებაა პრიორიტეტული.

რატომაა გამართლებული განვითარების დღევანდელ ეტაპზე ასეთი მიდგომა?

- მეწარმეს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ იგი აუცილებლად გაყიდის მის მიერ შემოთავაზებული პირობებით მოყვანილ პროდუქციას დათქმულ დროსა და ფასში;
- თანამედროვე ეტაპზე სასოფლო -სამეურნეო წარმოების განვითარება უნდა მოხდეს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ნიადაგის დამუშავების ახალ მეთოდებს, შესაბამისი მანქანა-იარაღების გამოყენებას, ჯიშიანი თესლით, ნერგით, სანაშენო პირუტყვით უზრუნველყოფას, მოწეული მოსავლის დროულად აღებას და მის გარანტირებულად გაყიდვას. ამ ღონისძიებების განხორციელება დაკავშირებულია დიდი ხარჯების გაწევასთან, რადგან წარმოების ყველა საშუალება, ადრინდელთან შედარებით, რამდენჯერმეა გაძვირებული, რაც გამოწვეულია ფასების ლიბრალიზაციით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, შეუძლებელია მრავალი დარგის განვითარება. სწორედ ამითაა განპირობებული საწარმოო სპეციალიზაციის ზონის შიგნით დარგების შეზღუდვის რეკომენდაცია.არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ცოდნის პირობებში.
- წახალისებული პროდუქციის წარმოება გამოიწვევს დარგში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებას, დარგის მომსახურე სუბიექტების გამრავლებას და სპეციალიზაციის გაღრმავებას,რაც თანამედროვე პირობებში წარმოადგენს წარმოების მომგებიანად გაძღოლის წინაპირობას;
- რაც მთავარია, ყოველივე ზემოთ აღნიშნული, სოფლად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დეფიციტის პირობებში გამოიწვევს ადამიანების დასპეციალიზებას მოცემული სახის პროდუქციის წარმობაზე;

დასკვნები:

1. ადრე გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, საქართველომ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს როგორც საექსპორტო,ისე ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოების ზრდის ხარჯზე.

2. ცოდნის, წარმოების საშუალებების,ფინანსური და საკრედიტო რესურსების და სოფლად ეკონომიკურად აქტიური მოსახლების დეფიციტის პირობებში მრავალდარგიანობა, საწარმოო სპეციალიზაციის ზონის შიგნით, უფრო საზიანოა, ვიდრე სასარგებლო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კუნჭულია თ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.-სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1996 წელი. -274გვ.

2. ჭითანავა ნ. – შერეული, მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, თბილისი, 1996 წელი. -36 გვ.

3. ჭითანავა ნ. – საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემები, თბილისი,1993 წელი.-224 გვ.

Pro and Cons of Georgia's Multi-Sectoral Agriculture

Tamaz Kunchulia – Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences

Ministry of Environment and Agriculture of Georgia
Academy of Agricultural Sciences of Georgia, Tbilisi, Georgia
E-mail: t.kunchulia@gaas.dsl.ge

Summary

The diversity of Georgia's natural and economic conditions is well-known. 11 zones and 3 sub-zones of agricultural specialization allocated on its territory is the clear proof of the above. Existence of so many zones on the small territory is an indication of diversity and multi-sectors that, in its part, objectively demonstrates the opportunities of the country's agriculture.

In Georgia's agro-sector, it is impossible to produce one or even two types of products in the amounts that would sustain the whole sector, using the generated income.

At the current stage of development, the country does not have possibility to utilize the multi-sectoral approach. The coronavirus pandemic, spread in the world, made the states to revise the strategies on production development, including ensuring food security of population. Our country has to find the solution through stimulation of production of one type of product within the sector zones. Naturally, this means limiting of other sectors. Support to the sector, selected by the state (subsidizing the production or using other forms of stimulation), will create preconditions for profitable management of the sector. The same can be said about efficient use of mineral fertilizers, herbicides, insecticides and fungicides, without which modern technologies cannot be introduced.

Keywords: agriculture, diversity, multi-sector, production specialization, production inputs.